


## მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე დივიდენდის განაწილება 2623



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

**ანოტაცია**  
**„მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე დივიდენდის განაწილება“ №2623**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე დივიდენდის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“ დაფუძნდა 2017 წელს შპს „Y“-ს (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) მიერ. აღნიშნულ წელს განხორციელებული საქმიანობიდან მიღებულმა შპს X-ის გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 200 000 ლარი. 2018 წლის დეკემბრის თვეში შპს „X“-მა დამფუძნებელ შპს „Y“-ზე გასცა გაუნაწილებელი მოგებიდან 50 000 ლარი.

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ მოუხდენია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309 მუხლის 94-ე ნაწილის შესაბამისად, კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადით ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრებიან 2019 წლის 1 იანვრიდან. ამავდროულად 99-ე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის მიზნებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან:

ა) ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება არ ითვლება მოგების განაწილებად;

ბ) ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის განაწილება ითვლება მოგების განაწილებად.

შესაბამისად, 2018 წლის დეკემბრის თვეში საწარმო ვალდებული იყო, შპს „Y“-ზე გაცემული 50 000 ლარიდან დაერიცხა და ბიუჯეტში გადაეხადა 8 823 ლარი ( $50\,000/0,85 \cdot 15\% = 8\,823$ ) მოგების გადასახადი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს დაერიცხება კუთვნილი მოგების გადასახადი და დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად, მოგების გადასახადის დეკლარაციაში გადასახადის თანხის შემცირებისათვის.